



ნაშრომის სათაური: საბანკო გარანტია (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით)

სტუდენტის სახელი, გვარი: ასმათ სალდაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი: ზურაბ ჭეჭელაშვილი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

თბილისის ღია უნივერსიტეტი

„ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანი ასმათ სალდაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „საბანკო გარანტია (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით)“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.“

თარიღი:

ხელმძღვანელის ხელმოწერა: სრული პროფესორი, ზურაბ ჭეჭელაშვილი

რეცენზენტი:

გამოყენებული აბრევიატურა:

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;

სსსკ- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;

აშშ- ამერიკის შეერთებული შტატები;

გაერო- გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;

ICC – International Chamber of commerce - საერთაშორისო სავაჭრო პალატა;

URDG – უნიფიცირებული წესები უპირობო გარანტიების შესახებ, N458

პუბლიკაცია;

URDG - უნიფიცირებული წესები უპირობო გარანტიების შესახებ, N758 პუბლიკაცია

რეზიუმე

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში, მნიშვნელოვანი როლი აკისრია საბანკო სფეროს. სწორედ, საბანკო მომსახურებს ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს საბანკო გარანტია. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად, საჭირო გახდა ისეთი ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომლის მიზანიც სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარეთა ინტერესების დაცვა იქნებოდა. საბანკო გარანტია წარმოადგენს, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომელიც კრედიტორს ანიჭებს უფლებას, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა გარანტის მეშვეობით.

საბანკო გარანტია, კომერციულ ურთიერთობებში კრედიტის უზრუნველყოფის ერთ-ერთ გავრცელებულ საშუალებად ითვლება. მისი დანერგვა აშშ-ში დაიწყო და დღეს მსოფლიო მასშტაბით აქტიურად გამოიყენება. სახელმწიფოს მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმების გარდა, მისი რეგულირება ხორციელდება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ მიღებული უნიფიცირებული წესებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სავაჭრო კომისიის „დამოუკიდებელი გარანტიებისა და რეზერვული აკრედიტივების შესახებ“ კონვენციის საფუძველზე. მოთხოვნის უზრუნველყოფის აღნიშნული საშუალება, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო კომერციის სფეროში. ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მისი გამართული ფუნქციონირება ფაქტობრივად წარმოუდგენელია აწყობილი საბანკო სისტემის გარეშე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ადეკვატური ნორმატიული ბაზის არსებობა, მისი სწორად აღქმა და გამოყენება საბანკო სუბიექტების მხრიდან და სასამართლო ორგანოების მიერ, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ დანერგილი იქნება სწორი სამართლებრივი პრაქტიკა.

საქართველო მზარდ ინტეგრაციას ახორციელებს მსოფლიო ეკონომიკაში, რაც მეტად აღრმავებს ქვეყნის შიგნით არსებული საბანკო კანონმდებლობის შესწავლისა და დამუშავების საკითხს. ასევე აუცილებელია საერთაშორისო საბანკო რეგულაციებთან და პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა. საერთაშორისო სავაჭრო

ორგანიზაციის წევრობა ქვეყნისათვის სარგებლობის მომტანი გახდება მაშინ, თუ ქართული ეკონომიკური სუბიექტები შეძლებენ სხვა ბაზარზე ადგილის დამკვიდრებას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ქართულ ბაზარზე მუშაობისა და ადგილის დამკვიდრების საშუალება მიეცეთ უცხო ქვეყნის სამეურნეო სუბიექტებს. აღნიშნული გამოიწვევს ინვესტიციების მოზიდვასა და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაზრდას. ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელი იქნება, სამეურნეო სუბიექტებისათვის შესაბამისი საბანკო პროდუქტის მომსახურებით. საბანკო გარანტია პრაქტიკაში 70-იან წლებში გამოჩნდა და დღესდღეობით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბანკო ოპერაციებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ჯერ კიდევ 90-იანი წლების შუა ხანებიდან მოქნილი კანონმდებლობის შემუშავებასთან ერთად, შეძლო ეფექტური და გამართული საბანკო სისტემის შექმნა, საბანკო გარანტიის სფეროში თითქმის არ არსებობს ფუნდამენტური სამართლებრივი გამოკვლევა.

საბანკო გარანტია შედარებით ახალი პროდუქტია, რომელიც რთული სამართლებრივი ბუნებით გამოირჩევა. პრაქტიკაშიც ხშირად ვაწყდებით, აღნიშნული ინსტიტუტიდან წარმოშობილ პრობლემებს. ქართულ სამართალში მეტ აქტუალობას იძენს, მოთხოვნის უზრუნველყოფისათვის გარანტიის არსებობაც. სწორედ პრობლემის სიმრავლე და საკითხის აქტუალობა გახდა ამ ნაშრომის მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ნაშრომი არ მოიცავს მხოლოს საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებასა და მოქმედების თავისებურებათა კვლევით. ადგილი ეთმობა გარანტიასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებსა და საერთაშორისო მოდელლების არსებობის მნიშვნელობას. იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო გარანტია ჯერ კიდევ ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტია, ქართული კანონმდებლობის გარდა, ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სამართალში არსებულ ნორმებს, რომლებიც საბანკო გარანტიისათვის უმნიშვნელოვანეს და ძირითად სამართლის წყაროს წარმოადგენს.

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია, საბანკო გარანტიის არსი, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

ჩამოყალიბებულია, მისი ძირითადი სახეები და თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. ყურადღება იქნება გამახვილებული, საბანკო გარანტიის სუბიექტებზე და მათ უფლება-მოვალეობებზე. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოყალიბებულია მოთხოვნის წარდენის ფორმები და ვადები. ასევე, გათვალისწინებულია საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული საერთაშორისო აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზები, მათი ანალიზი. ნაშრომში აგრეთვე განხილულია, საერთაშორისო სამართლის მოდელები და მისი სახეები. აღნიშნულია, საჭირო რეკომენდაციები საბანკო გარანტიის სწორი რეგულირებისათვის.

In the development of the modern world economy, an important role is played by the banking sector. One of the forms of banking services is the bank guarantee. With the development of international trade relations, it became necessary to establish an institution whose purpose in contractual relations would be to protect the interests of the parties. A bank guarantee is a means of securing a claim that entitles the creditor to satisfy his claim through a guarantor.

Bank guarantee is considered to be one of the most common means of credit disbursement in commercial relations. Its introduction began in the United States and is now widely used worldwide. In addition to legal norms adopted by the state, its regulation is based on the uniform rules adopted by the International Chamber of Commerce and the United Nations Trade Commission on Independent Guarantees and Reserve Accreditations. This means of securing demand plays an important role in the field of international trade. The economic development of the country and its proper functioning is virtually unimaginable without an assembled banking system. Therefore, it is important to have an adequate normative base, its proper perception and use by banking entities and judicial bodies, which creates a precondition for the introduction of proper legal practice.

Georgia is increasingly integrating into the world economy, further deepening the study and development of domestic banking legislation. It is also necessary to bring it in line with international banking regulations and practices. Membership in an international trade organization will be beneficial for the country if Georgian economic entities are able to establish a place in another market. It is also important to allow foreign economic entities to work in the Georgian market and establish a place. This will attract investment and increase the country's economic and social situation. It will be possible to achieve these goals by providing appropriate banking products for economic entities. The bank guarantee appeared in practice in the 70s and today occupies an important place among bank operations.

Although Georgia has been able to create an efficient and efficient banking system since the mid-1990s, there has been almost no fundamental legal research in the field of banking guarantee.

Bank guarantee is a relatively new product with a complex legal nature. In practice, we often encounter problems arising from this institution. In Georgian law, there is more urgency there is a guarantee to meet the demand. It was the abundance of the problem and the urgency of the issue that became the basis for the preparation of this paper.

The presented paper does not cover only the legal nature of the bank guarantee and the study of the peculiarities of the action. The place is devoted to general issues related to guarantee and the importance of the existence of international models. Given that the bank guarantee is still a new legal instrument, in addition to Georgian legislation, attention is paid to the norms of international law, which are the most important and basic source of the law for the bank guarantor.

The master's thesis discusses the essence of bank guarantee as one of the important means of securing demand. Formed, its main types and the characteristics of each of them. The focus will be on bank guarantee entities and their rights and obligations. In accordance with the legislation of Georgia, the application form and deadlines have been established. Also, the shortcomings of the international acts and national legislation related to the bank guarantee and their analysis are taken into account. The paper also discusses models of international law and its types. The necessary recommendations for correct regulation of the bank guarantee are mentioned.

სარჩევი

გამოყენებული აბრევიატურა:.....	3
შესავალი	Error! Bookmark not defined.
თავი 1. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება	13
1.1. საბანკო გარანტიის არსი და იურიდიული ბუნება	13

1.2. საბანკო გარანტიის განვითარების ეტაპები საქართველოში	15
1.3 საბანკო გარანტიის სახეები და მათი კლასიფიკაცია გადახდის მექანიზმების მიხედვით	16
თავი 2. საბანკო გარანტიის ურთიერთობის მონაწილეები.....	20
2.1 საგარანტიო ურთიერთობის სუბიექტები.....	20
თავი 3. საბანკო გარანტიის მოთხოვნის წარდგენა და გადახდის პირობები.....	23
3.1. ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენის ფორმა	23
3.2. მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლები	24
3.3. გარანტის რეგრესული წესით ანაზღაურების უფლება	27
თავი 4. საბანკო გარანტიის ვადა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად	28
4.1. ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნების სამართლებრივი შედეგები	28
4.2. საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება	29
თავი 4. საბანკო გარანტიის შწყვეტის საფუძვლები	31
თავი 6. საბანკო გარანტიის საერთაშორისო მოდელები	34
დასკვნა	36
გამოყენებული ლიტერატურა.....	39

შესავალი

სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობები ემყარება მხარეთა შორის ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს. იგი სავაჭრო ეკონომიკის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაფუძვლად ითვლება. 1991 წელს

საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, კერზო საკუთრებისა და საბაზრი ეკონომიკის პრინციპის აღიარებით აუცილებელი გახდა ახალი სამოქალაქო კოდექსის შქმნა. ¹ახალ სსკ-ში სამოქალაქო სამართლის ძირითადი ელემენტები სხვაგვარად განისაზღვრა, ხელსკრულების მხარეებს მიენიჭა უფლება თავად შეთანხმებულიყვნენ სხვა პირობებზე და იმ სამართლებრივ ურთიერთობებზე, რომელიც მოწესრიგებული არ იყო ახალი კანონმდებლობით. სსკ-ის მე-10 მუხლში ჩამოყალიბებული მსჯელობის მიხედვით, კერძო სამართლის სუბიექტებს ხელშეკრულების დადება შეუძლიათ კანონის ფარგლებში და თავისუფლად განსაზღვრონ ხელშეკრულების შინაარსი. ასევე უფლება აქვთ გააფორმონ ისეთი ხელშეკრულებები, რომელსაც არ იტვალისწინებს კანონმდებლობა, ამისათვის კი მნიშვნელოვანია აღნიშნული არ ეწინააღმდეგებოდეს კანონის ინტერესებსა და მიზანს.

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის არსებობა არ გულისმობს მხოლოდ ტრადიციული ხელშეკრულების პირობათა განსაზღვრას, არამედ მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ სხვა ახალი სამართლებრივი ურთიერთობები. ახალ სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების სიმრავლე აღინიშნება.

უზრუნველყოფის საშუალებებს განსხვავებული ბუნების მიუხედავად, საერთო ნიშანიც გააჩნიათ. ისინი ანიჭებენ კრედიტორს უფლებას დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა მათი გამოყენების გზით. თუკი მოვალე არ შეასრულებს ან არაჯეროვნად შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. ²

მოთხოვნის უზრუნველყოფა წარმოადგენს კრედიტორისათვის მინიჭებულ უფლებას, მოვალის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში საგნის რელიზაციით ან სხვა საშუალებით დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნა. მოთხოვნის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს საბანკო გარანტია, რომელიც ხშირად გამოიყენება კომერციულ ურთიერთობებში. მრავალი

¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ.), ლ.ჭანტურია, 2017, 28.8

² ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 15.

რეგულაციების არსებობის მიუხედავად, საბანკო გარანტია რთული სამართლებრივი ბუნების მატარებელია, სწორედ ამიტომ, გარანტიიდან წარმოშობილი მოთხოვნის სწორი მართვა ბევრ პრობლემას წარმოშობს. დღესდღეობით ქართულ სინამდვილეში ხშირად გვხვდება საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები. მათი სიმრავლისა და განსხვავებულობის გათვალისწინებით მომზადდა აღნიშნული ნაშრომი.

ნაშრომის აქტუალობა - მდგომარეობს იმაი, რომ საბანკო გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის ისეთი საშუალებაა, რომელიც დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისაგან. გასათვალისწინებელია, საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში მისი არსებობის მნიშვნელობა. მეტად აქტუალურია ის საკითხიც, შინაარსის მხრივ საბანკო გარანტიის რომელი სახე წარმოადგენს უპირატესს, უპირობო თუ პირობითი.

თემის აქტუალობა გამოწვეულია იმითაც, რომ დღესდღეობიც ქართულ სამართალში სულ რამდენიმე კვლევა და სტატია არსებობს ამ მეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუტის შესახებ საბანკო გარანტიის სამართლებრივი ასპექტების კვლევას პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. დღესდღეობით მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მეტად ინტერესდება საბანკო გარანტიის ინსტიტუტით, როგორ ფინანსური ინსტრუმენტით. საბანკო გარანტიის არსებობის მნიშვნელობამ, ინტერესის ზრდამ გამოიწვია, თემის აქტუალობა. იგი მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს, როგორც ქვეყნის შიდა ასევე, საერთაშორისო ბაზარზე.

ნაშრომის მიზანია - კანონმდებლობაში თუ პრაქტიკაში არსებულ პრობლემურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება და ხაზგასმა. გამოიკვეთოს საბანკო გარანტიის ფუნქციონირებისათვის არსებული ხელშემშლელი ფაქტორები და გამოიკვეთოს მათი დაძლევის გზები. საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნების სწორად ჩამოყალიბება წარმოადგენს ნაშრომში განხორციელებული კვლევის მიზანს, რაცა აღნიშნული ინსტრუმენტი სწორად იქნეს გამოყენებული.

კვლევის მიზნებისათვის, მნიშვნელოვანია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის რეკომენდაციების ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს ქართულ

კანონმდებლობაში არსებულ ნორმების მისადაგებას და დაახლოებას საერთაშორისო მომწესრიგებელ ნორმებთან.

მეთოდი - ნაშრომში გამოყენებულია ზოგადსამეცნიერო, ისტორიული, ლოგიკური, შედარებით სამართლებრივი, ანალიზისა და სხვა მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა - სამაგისტრო ნაშრომი შედგება 6 თავისაგან, რომლებიც დაყოფილია რამდენიმე პარაგრაფად.

პირველ თავში მოცემულია, საბანკო გარანტიის

არსი და იურიდიული ბუნება, ჩამოყალიბებულია მისი სახეები, მოთხოვნის მექანიზმების კლასიფიკაციით. მიმოხილულია, განვითარების ეტაპები.

მეორე თავი შეეხება, გარანტიის ურთიერთობაში მონაწილე სუბექტებსა და მათ უფლება-მოვალეობებს.

მესამე თავი ეთმობა საბანკო გარანტიის მოთხოვნის წარდგენის ფორმასა და გადახდის მექანიზმებს.

მეოთხე თავში საუბარია საბანკო გარანტიის ვადის მნიშვნელობაზე, ვადის გასვლის შემდეგ წამოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მეხუთე თავში მიმოხილულია გარანტიის შეწყვეტის ძირითადი საფუძვლები და ბოლო თავში (მე-6) ყურადღება არის გამახვილებული საბანკო გარანტიის საერთაშორისო მოდელებზე. მისი არსებობის მნიშვნელობაზე, როგორც ქართულ ასევე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში. ნაშრომის დასკვნით ნაწილში გაცემულია რეკომენდაციები და მითიებული არის გამოყენებული ლიტერატურა.

თავი 1. საბანკო გარანტია, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

1.1. საბანკო გარანტიის არსი და იურიდიული ბუნება

სახელშეკრულებო ურთიერთობები მხარეთა ნდობაზე არის აგებული. კრედიტორი, რომელიც პირელი ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, ყოველთვის ვერ განჭვრეტს იმას, თუ როგორ წარიმართება მომავალში ვალდებულების შესრულება. კრედიტორი იმედოვნებს, რომ მოვალე ვალდებულებას შეასრულებს, თუმცა შესაძლებელია არსებული ნდობა გაუცრუვდეს. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის რისკი უოველთვის არსებობს. შესაბამისად, ნდომა ყოველთვის

არასაკმარისია რისკის, პრევენციისა და მისი რეალიზაციის შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის.³ სწორედ, ასეთი რისკების თავიდან აცილების მიზნით, გამოიყენება სამოქალაქო სამართალში მოთხოვნის უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალებები. შესაბამისად, წინასწარ ხდება კრედიტორის ქონებრივი ინტერესის დაცვა, რაც უზრუნველყოფს ვალდებულების ჯეროვანი შესრულების განარანტიას.

კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების ა უპირველეს მიზანს წარმოადგენს, კრედიტორთან ინტერესების დაცვა. მათი არსებობა მნიშვნელოვანია მხარეთა შორის ნდომის ასამაღლებლად. იმის განცდა, რომ ნაკისრი ვალდებულება აუცილებლად შერულდება, ეკონომიკური აქტიურობის, ინვესტიციების მოზიდვის და მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.⁴

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ვალდებულების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს საბანკო გარანტია. 879-ე მუხლის თანახმად, იგი არის ფულადი ვალდებულება, რომლის შესრულებისთვისაც პასუხისმგებლობას იღებს გარანტი, პრინციპალის თხოვნით წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მისი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში გარანტს პრინციპალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება კი არ ეკისრება ბენეფიციარის წინაშე, არამედ მხოლოდ გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდა. შესაბამისად, საბანკო გარანტია წარმოადგენს აბსტრაქტულ გარიგებას, რომელიც დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისაგან.

ეკონომიკური თვალსაზრისით, საბანკო გარანტიის გაცემა გარანტის მხირდან კრედიტის გაცემას უთანაბრდება. საბანკო გარანტიის სამართლებრივი ინსტიტუტის განხილვისას განასხვავებენ ორ გარიგებას: საბანკო გარანტიის გაცემის შესახებ

³ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, 2014, 539.

⁴ ქანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის საშუალება, 2012, 35.

ხელშეკრულება და თავად საბანკო გარანტია. ⁵ არა აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, იგი განსაკუთრებით დიდი საფრთხის შემცველია პრინციპალისთვის. სწორედ, პრინციპალია იმ რისკის მატარებელი, რომ ბენეფიციარი იმ შემთხვევაშიც შეძლებს საბანკო გარანტიიდან დაკმაყოფილების მიღებას, როდესაც პრინციპალსა და ბენეფიციარს შორის ვალდებულება არ წარმოშობილა.⁶

საბანკო გარანტიის არსებობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბენეფიციარისათვის. მას საკმაოდ მყარი პოზიცია აქვს, აღნიშნული ურთიერთობის სხვა მონაწილე სუბიექტებთან შედარებით.

გერმანელი მეცნიერების მოსაზრებით, ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას ორი ძირითადი მიზანი გააჩნია: ა) მოახდინოს მოვალის სტიმულირება ვალდებულების შერულებისათვის, ბ) გარანტირებული გახადოს კრედიტორის ქონებრივი ინტერესი დაცვა.⁷

1.2. საბანკო გარანტიის განვითარების ეტაპები საქართველოში

ქართულ სამართალში გარანტიები განიხილებოდა და განიხილება, როგორც ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალება. გარანტია ასეთი სახით, წარმოდგენილი იყო საბჭოთა პერიოდის ქართულ კანონმდებლობაშიც, შესაბამისად სამოქალაქო სამართლისათვის საბანკო გარანტიის ინსტიტუტი დიდი ხანია ცნობილია.

საბანკო გარანტია სამაქოლაქო კოდექსში, რეგულირდება ოცდამეათე თავში არსებული ნორმების საფუძველზე, რომლებიც თავდაპირველ რედაქციაში იყო მოთავსებული.

მუხედავად თანამედროვე გამოწვევებისა, კანონმდებლობაში არ შესულა ცვლილებები, აღნიშნულ ნორმებთან დაკავშირებით. ძირითადად სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე ხორციელდება საკანონმდებლო ნორმების ანალიზი. დღესდღეობით კი არსებობს რამდენიმე აქტი, რომელებშიც გათვალისწინებულია

⁵ ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, 2014., 239.

⁶ ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 213.

⁷ გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2012, 225

საბანკო გარანტიის ინსტიტუტი. ისინი შეგვიძლია მივიჩნიოთ სპეციალურ კანონებად, რომლებიც შესაბამისი რეგულირების სფეროს მიზნებისთვის სპეციალურ მოთხოვნებს განსაზღვრავს და აზუსტებს საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით არსებულ შესაბამის ნორმებს.

ქართულ რეალობაში საბანკო გარანტიის გამოყენების სიმრავლე და გააქტიურება გამოიწვია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობასი გარანტიის სავალდებულო გამოყენებან. ⁸ 21-ე საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით გაიზარდა გარანტიათა გამოყენების რიცხვი, რადგან სავალდებულო გახდა მათი გამოყენება სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში.

ამჟამად ფართოდ არის გავრცელებული, დამოუკიდებელი საბანკო გარანტიები და თითქმის არც ერთი საერთაშორისო ეკონომიკური ოპერაცია არ ტარდება, საბანკო გარანტიის გარეშე. აგრეთვე საკმაოდ არის გაზრდილი მოთხოვნა შიდა ბაზარზე, რაც იმით არის განპირობებული, რომ საბანკო ანუ დამოუკიდებელი საბანკო გარანტიები შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც წმინდა საფინანსო (სესხები, ოვერდრაფტი, ობლიგაციების გამოშვება, დაზღვევა და სხვა) ასევე არასაფინანსო კონტრაქტების (ყიდვა-გაყიდვა, მშენებლობა, ქირავნობა) უზრუნველყოფის მიზნით. ⁹

გასულ წლებში ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის განხორციელებასა და მართვასთან დაკავშირებით, მცირე ოდენობის დავები არსებობდა. ხშირად აღნიშნული გადაწყვეტილებები ერთმანეთის მსგავსი იყო და მხარს უჭერდა მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, მიუხედავად იმისა უზრუნველყოფილი მოთხოვნა სრულად იქნა შერულებული, რაიმე პირობის დარღვევით თუ უგულვებელყოფით.

1.3 საბანკო გარანტიის სახეები და მათი კლასიფიკაცია გადახდის მექანიზმების მიხედვით

⁸ ლიპარტია ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი N4(52), 2016, 124

⁹ Гавальда К., Стуфле Ж., <<Ванковское Право>> << Форум>> Москва 1996 ст 339-344

საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობისა და საბანკო პრაქტიკისათვის საბანკო გარანტიის სამი სახე არის ცნობილი: ა.წ. „უპირობო“ გარანტია, პირველივე მოთხოვნისათვის გადასახდელი გარანტია; „პირობითი“, რომელიც გადახდისათვის ითვალისწინებს სასამართლო პრაქტიკას და საარბიტრაჟო ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი საბანკო გარანტიები, რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მიერ.

გადახდის მექანიზმი შეადგენს საბანკო გარანტიის არსს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება გარანტიისათვის დამახასიათებელი რისკები და სარგებლობა ბენეფიციარისთვის. საბანკო გარანტიაში არსებობს გადახდის სხვადასხვაგვარი მექანიზმები. მათი მიხედვით შეიძლება განსაზღვრულ იქნეს, რომ გარანტის მიერ გადახდა უნდა მოხდეს ბენეფიციარის პირველივე მოთხოვნისთანავე, ასევე ბენეფიციარის მიერ სასამართლო ან საარბიტრაჟო მოთხოვნის წარდგენის შემდეგ და ბენეფიციარის მიერ მესამე პირისათვის გაცემული დოკუმენტების წარდგენის სანაცვლოდ. მექანიზმებიდან ყველაზე დიდი რისკების მატარებელია პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელი გარანტია.

ასეთ შემთხვევაში ბენეფიციარის მოთხოვნა მაინც წარმოშობს გარანტიის მიერ თანხის გადახდის ვალდებულებას ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის საფუძვლის დამატებითი დამტკიცების გარეშე.¹⁰ პირველივე მოთხოვნისთანავე გადასახდელი საბანკო გარანტიებ ძირითადად ბენეფიციარის ინტერესების დაცვას ემსახურება. თუ საბანკო გარანტიაში მითითებულია აღნიშნული მექანიზმის შესახებ, ბენეფიციარს უფლება აქვს თანხა მიიღოს მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე, ყოველგვარი მტკიცებულების წარდგენის გარეშე, რომელიც დაადასტურებდა პრინციპალის მხრიდან ვალდებულების შუსრულებლობას.

URDG N758 გათვალისწინებულია, ბენეფიციარის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში გარანტიით გათვალისწინებული პირობების დარღვევის

¹⁰ Penn G., On-demand Bonds – Primary or Secondary Obligations? 1986, 224

მითითების ვალდებულება. გარანტიაში მინიმუმ უნდა მიეთითოს ვალდებულების დარღვევისა და პრინციპალის ბრალეულობის შესახებ.¹¹

პირველივე მოთხოვნისთანავე წარდგენილ გარანტიებს უწოდებენ „უპირობო“ საბანკო გარანტიას, რომლის დროსაც არ ხდება დამატებითი დოკუმენტების წარდგენა. რაც შეეხება, „პირობიან“ საბანკო გარანტიას, აუცილებელია ვალდებულების დარღვევის მითითების გარდა, მოთხოვნაზე წარდგენილ იქნას აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ უპირობო გარანტია მაღალი რისკის მატარებელია საერთაშორისო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება. თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს „პირველივე მოთხოვნისთანავე“ ან „უპირობო“ გარანტიის არსებობას. სსკ-ის 885-ე მუხლში ჩამოყალიბებული მსჯელობის გათვალისწინებით, გამოირიცხება უპირობო გარანტიის პრაქტიკაში გამოყენება. აღნიშნული მუხლი ბენეფიციარს აკისრებს ვალდებულებას და პასუხისმგებლობას, რომ მოთხოვნა წარდგენილ იქნას წერილობითი ფორმით. მასში აღწერილ უნდა იქნეს ის ფაქტი, თუ რაში გამოიხატება ძირითადი ვალდებულების დარღვევა. აღნიშნული პირობების შესრულება აუცილებელი იქნება ბენეფიციარის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რაც იმას ნიშნავს, რომ სსკ-ის მოქმედება გავრცელდება მხოლოდ „პირობითი“ ხასიათის საბანკო გარანტიაზე, ხოლო მისი მოქმედების ფარგლებში ვერ შევა ე.წ. „პირველივე მოთხოვნისთანავე“ ანუ „უპირობო“ გარანტიები¹²

აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა საბანკო გარანტია შეიცავს მითითებას უზრუნველყოფის ვალდებულების შინაარსსა და მოქმედების ვადებთან დაკავშირებით, რაც ერთგვარ პირობად შეიძება იქნეს მიჩნეული საბანკო გარანტიისათვის. შესაბამისად, გამორიცხულია უპირობო გარანტიის არსებობა და ყველა გარანტია მინეულ უქნას „პირობიან“-ად.

¹¹ Cowdell P., McGregor P., Guide to International Trade and Finance, international Chamber of Commerce, 2015, 214.

¹² ჭიკაშვილი საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის დოქტორის ხარისხის მინიჭებისთვის, 2015, 27.

გარანტიები, რომლებიც გადაიხდება მესამე მხარის მიერ გაცემული დოკუმენტების წარდგენისას, წარმოადგენს გადახდის მექანიზმის მეორე სახეს. ასეთი სახის გარანტიები იწოდება, დოკუმენტალურ საბანკო გარანტიად. საბანკო გარანტიის შინაარსში ყოველთვის მოიაზრება, რამე დოკუმენტის წარდგენა შესაბამისად, ყველა საბანკო გარანტია შეიძლება ჩაითვალოს „დოკუმენტალურად“.

„პირობით“ გარანტიებად იწოდება ისეთი, საბანკო გარანტიები, რომლებიც არ ითხოვს მესამე პირების მიერ გაცემულ დოკუმენტების წარდგენას მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ბენეფიციარს უფლება აქვს მიიღოს გადახდა, როდესაც წარადგენს გარანტიის ტექსტით დათქმულ დოკუმენტებს. მას არ სჭირდება პრინციპალის დეფოლტის დამადასტურებელი რაიმე სხვა სახის მტკიცებულებების წარდგენა. ბენეფიციართან ურთიერთობაში პრინციპალი ვერ წამოაყენებს რაიმე შესაგებელს, ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე არ შეუძლია მოითხოვს, დამატებითი მტკიცებულება. ბანკის უფლება-მოვალეობას წარმოადგენს არსებული დოკუმენტების გარანტიის პირობებთან შესაბამისობის შემოწმება.

გადახდის მექანიზმის მესამე სახე თავისი შინაარსით ადასტურებს, პრინციპალის ვალდებულების არსებობას ბენეფიციარის მიმართ. აღნიშნული გულისმობს, ბენეფიციარის მიერ სასამართლო და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების წარდგენას.

გადახდის მისაღებად საარბიტრაჟო ან სასამართლო გადაწყვეტილების წარდგენა სასამართო გარანტიების შემთხვევაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს. აღნიშნულ სახეს ხშირად აიგივებენ თავდებობის ურთიერთობასთან. ხშირად ისინი არ აღიქმება, როგორც დამოუკიდებელი გარანტიები. ასევე აღსანიშნავია მათ შორის არსებული კონცეპტუალური სხვაობა.

აღნიშნული ტიპის გარანტიების გამოყენებით, ბენეფიციარ ეძლევა შესაძლებლობა საკუთარი საგარატო თანხა საარბიტრაჟო ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღოს.

თავი 2. საბანკო გარანტიის ურთიერთობის მონაწილეები

2.1 საგარანტიო ურთიერთობის სუბიექტები

საბანკო გარანტიის ცნების ჩამოყალიბებისას ნათელი ხდება მასში მონაწილე სუბიექტების ვინაობა. აღნიშნულ სამართლებრივ ინსტიტუტში მონაწილეობს სამი

სუბიექტი: პრინციპალი, ბენეფიციარი და გარანტი. თუმცა საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობებში შესაძლებელია ჩაერთოს კონტრაგენტი, როგორც მეოთხე სუბიექტი.

პრინციპალი წარმოადგენს, ვალდებულების მონაწილე ძირითად სუბიექტს, რომელიც კისრულობს ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ხელშეკრულების საფუძველზე. მის მიერ შესრულებული ვალდებულება კი უზრუნველყოფილია, გარანტიის საფუძველზე.

უნიფიცირებული წესების გათვალისწინებით, პრინციპალი იწოდება როგორც აპლიკანტი, რომელიც არის გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მქონე სუბიექტი.

აღნიშნულ ურთიერთობაში ასევე მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს გარანტი, რომელიც URDC N758-ის შესაბამისად, არის გარანტიის გამცემი სუბიექტი და მოიცავს მხარეს, რომელიც მოქმედებს საკუთარი რისკით. აღნიშნული წესი არ აკონკრეტებს გარანტიის გამცემ სუბიექტთა წრეს და მას ეროვნული ქვეყნის კანონმდებლობის განსაზღვრის საკითხად ტოვებს.¹³

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარანტი შეიძლება იყოს ბანკი, სადაზღვევო კომპანია, ან საკრედიტო ორგანიზაცია, რომელიც კისრულობს ვალდებულებას პრინციპალის კრედიტორის წინაშე, წერილობითი მოთხოვნის წარდგენის შემდეგ. იგი არ არის პასუხისმგებელი ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე. აღნიშნული კანონმდებლობით შეზღუდულია გარანტიის გამცემ პირთა წრე. საბანკო გარანტიის მონაწილე სუბიექტთა საქმიანობა საჭიროებს ლცენზიას და შესაბამისი ორგანოს მხრიდან განიცდის მუდმივ ზედამხედველობას.¹⁴

ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს კანონში კონკრეტულად არ არის გათვალისწინებული, თუ ვინ მიიჩნევა საკრედიტო დაწესებულებას. თუმცა ამავე კანონის მე-2 მუხლში ჩამოთვლილი სუბიექტებიდან შესაძლებელია გამოიყოს, რამდენიმე ინსტიტუტი და ორგანიზაცია, რომლებიც შეგვიძლია მივიჩნიოთ საბანკო გარანტიის გამცემ სხვა საკრედიტო სუბიექტად. პრაქტიკაში კი საბანკო გარანტიის გაცემა ხდება, მხოლოდ სადაზღვევო კომპანიებისა და კომერციული ბანკების მიერ.

გარანტიის გამცემ სუბიექტთა წრესთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. საბანკო სამართლის ბევრი სპეციალისტი ამართლებს პირთა ვიწრო წრისათვის ამ უფლებამოსილების განსაზღვრას, მაგრამ არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრება, რომ საბანკო გარანტიის გამცემი სუბიექტების წრე შეზღუდული არ უნდა იყოს.

აღნიშნული შეზღუდვა არსებობს გარანტიის მნიშვნელობისა და რისკების გათვალისწინებით. კრედიტორთა ინტერესების დასაცავად, საქართველოს

¹³ Enochong N., The law applicable to demand guarantees and counter-guarantees, 2015, 196.

¹⁴ გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, 2012, 237.

კანონმდებლობის მიხედვით, გათვალისწინებულია გარანტიის გამცემი სუბიექტებისათვის გარკვეული რაოდენობის ფინანსური რესურსი, რისი კონტროლიც ხორციელდება შესაბამისი საზედამხედველო ორგანოების მიერ. სუბიექტთა წრის შეზღუდვა და ასეთი მკაცრი კონტროლი ფინანსურ რესურსთან დაკავშირებით გამართლებულია, კრედიტორის ინტერესების დასაცავად.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ლიცენზირებას საჭიროებს და ზედამხედველობას ექვემდებარება საბანკო და სადაზღვევო საქმიანობა. ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ კანონის მე-6 მუხლი სავალდებულო სალიცენზიო საქმიანობად მიიჩნევს დაზღვევისა და საბანკო საქმიანობის განხორციელებას. აღნიშნული სუბიექტების ზედამხედველობა კი ხორციელდება მუდმივად ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე.

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ურთიერთობებში ასევე მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს ბენეფიციარი. რომელიც უშუალოდ, მოთხოვნის უფლების მქონდე სუბიექტად მიიჩნევა. ბენეფიციარი ძირითად ვალდებულებაში შეიძლება იყოს იპორტიორი, შემკვეთი, შემძენი ან დამქირავებელი, რომელიც პრინციპალის მიერ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვს საბანკო გარანტიის წარმოდგენას. სწორედ, ბენეფიციარის სასარგებლოდ გაიცმა საბანკო გარანტია.¹⁵

ნაშრომში აღნიშნულ იქნა, რომ საგარანტიო ურთიერთობებში არსებული სამი სუბიექტის გარდა, შესაძლოა ჩართული იქნეს მეოთხე სუბიექტი. მისი მონაწილეობა ძირითადად ხდება, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში, რადგან ასეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მყიდველი და გამყიდველი წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის სუბიექტებს. შესაბამისად მათთვის არ არის ცნობილი ან მიუღებელია ხელშეკრულებაში მონაწილე გარანტიის გამცემი სუბიექტები. სწორედ ასეთ შემთხვევებში ერთვება, კონტრგარანტი, რომელიც წარმოადგენს ძლიერი ფინანსური რესურსის მქონე პირს.

კონტრგარანტია უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გარანტის მიერ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ კონტრგარანტის მიერ გარანტისათვის გადახდილი თანხის

¹⁵ Kelly-Louw M, Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 21.

ანაზღაურებას, ხოლო კონტრგარანტიის წინაშე რეგრესის წესით პასუხისმგებელი კვლავ პრინციპალი რჩება.¹⁶

თავი 3. საბანკო გარანტიის მოთხოვნის წარდგენა და გადახდის პირობები

3.1. ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენის ფორმა

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ თანხის მიღების წინაპირობას წარმოადგენს მოთხოვნის წარდგენა, რომელიც უნდა იყოს მხოლოდ წერილობითი ფორმით. აღნიშნულ მოთხოვნას თან უნდა დარეთოს, ბენეფიციარის განცხადება, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ.

შესაბამისად, გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე შესასრულებლად ითვლება იმ დროიდან, როცა ბენეფიციარი მოთხოვნას თანხის გადახდის შესახებ. საგარანტიო ხელშეკრულებაში კი მხარეები თავად განსაზღვრავენ მოთხოვნის წარდგენისათვის აუცილებელ წინაპირობებს. სსკ-ის 885-ე მუხლის თანახმად, კანონმდებელი ადგენს გადახდის მოთხოვნის წინაპირობებს - ე.წ. ფორმალურ წინაპირობებს, რომლებიც იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც მხარეები ამ წინაპირობებზე არ შეთანხმებულან.¹⁷ ბენეფიციარის მიერ მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს წარმომადგენლის მეშვეობით, თუმცა მისივე ხელმოწერით.

საბანკო გარანტიის არააქცესორული უფლებიდან გამომდინარე, ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისათვის მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომ გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის წარდგენა მოხდა უფლებამოსილი პირის

¹⁶ Kelly-louw M, Selective Legal Aspects of Bank Demand Guarantees, 2008, 21.

¹⁷ ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 221

მიერ. სსკ-ის 885 I მუხლის გათვალისწინებით, მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმითაც, თუ გარანტსა და ბენეფიციარს შორის არსებობს შეთანხმება, ელექტრონული სისტემის გამოყენებით თანხის გადახდის მოთხოვნის მიღების შესახებ.

ბენეფიციარის მიერ წარდგენილ მოთხოვნას თან უნდა დაერთოს გარანტიისათვის არსებული შესაბამისი დოკუმენტები. აგრეთვე უნდა მიეთითოს, რაში გამოიხატა პრინციპალის მიერ ძირითადი ვალდებულების დარღვევა და კონკრეტული ფაქტი აღნიშნულთან დაკავშირებით. ბენეფიციარმა მოთხოვნა უნდა წარადგინოს გარანტიაში მითითებული ვადის გასვლამდე, ამ ვადის გაშვების რისკი თავად მას დაეკისრება. თუ წარდგენილ მოთხოვნას აკლია გარანტიით გათვალისწინებული რაიმე დოკუმენტი, აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილი უნდა იყოს ბენეფიციარის მიერ გარანტიის ვადის გასვლამდე, შესაბამისად დროულად უნდა მიაწოდოს ყველა დამატებითი დოკუმენტი გარანტს.

3.2. მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძვლები

ბენეფიციარის მოთხოვნა არ გულისხმობს იმას, რომ გარანტმა იგი დააკმაყოფილოს უპირობოდ და მიღებისთანავე. პირველ რიგში მას ეკისრება ვალდებულება, აღნიშნულის შესახებ აცნობოს პრინციპალს, გადასცეს ყველა არსებული დოკუმენტი და მოთხოვნის ასლი.

სსკ-ის 886-ე მუხლის შესაბამისად, გარანტი ვალდებულია მოახდინოს მოთხოვნის შემოწმება და ანალიზი გონივრული მზრუნველობით. გარანტი კი ვალდებულია პრინციპალს შეატყობინოს შემოწმების ჩატარების შესახებ, რომ საგარანტიო შემთხვევაზე მოხდეს თანხის გადახდა. ეს ყოველივე ემსახურება პრინციპალის ინტერესების დაცვას, რადგან ის მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს საგარანტიო ურთიერთობაში და აუცილებლად უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოხატოს საკუთარი მოსაზრება საგარანტიო შედეგის დადგომასთან და მოთხოვნის მართლობიერებასთან დაკავშირებით. ასევე გარკვეულ ვადაში თავად მოახდინოს თანხის გადახდა ბენეფიციარისათვის, რომ გარანტის წინაშე აარიდოს თავი პასუხისმგებლობას. თუ პრინციპალის წინაშე დაირღვევა ინფორმაციის შტყობინების ვალდებულება, მაშინ თავად გარანტი იქნება

ვალდებული აუნაზღაუროს პრინციპალს ვალდებულების შეუსრულებლობით დამდგარი ზიანი.

საბანკო გარანტიიდან გამომდინარე მოთხოვნის შემოწმების დასრულების შემდეგ იღებს გარანტი გადაწყვეტილებას თანხის გადახდის ან გადახდაზე უარის თქმის შესახებ. საგარანტიო თანხის გადახდაზე უარის თქმის საფუძველები იურისტებს შორის დიდი ხანია დავის საგანია.¹⁸

პრაქტიკაში ხშირად ხდება დავის საგანი, ის თუ რამდენად არის დაცული საგარანტიო მოთხოვნის წარდგენის ფორმა და პრინციპი. გარანტის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს, სწორედ შესაბამისი პრინციპების დაცვით წარდგენილი მოთხოვნა. თუ გარანტი განსაზღვრავს, რომ მოთხოვნა არ შეესაბამება გარანტიით დადგენილ პირობებს, მას ენიჭება უფლებამოსილება უარი თქვას პრინციპალის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. იგივე ჩანაწერი არსებობს კონტრგარანტიიდან გამომდინარე გარანტის მიერ კონტრგარანტისათვის წარდგენილი მოთხოვნისას.¹⁹

საბანკო გარანტიის პირობებთან შეუსაბამო მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, გარანტი უფლებამოსილია არ გადაიხადოს თანხა პრინციპალის თანხმობის მიუხედავად. ასევე პრინციპალს არ ეკისრება ვალდებულება რეგრესის წესით გარანტს აუნაზღაუროს ის თანხა, რომელიც არასათანადო და შეუსაბამო მოთხოვნის შემდეგ გადაუხადა ბენეფიციარს. გარანტი თავის მხრივ ვალდებულია ბენეფიციარს აცნობოს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამგვარი შეტყობინება უნდა გაეგზავნოს დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უმეტეს შეტყობინების მიღებიდან მე-5 დღის ბოლომდე.²⁰ შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას: 1) მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, 2) ყველა იმ საფუძველზე, რაც გახდა მოთხოვნის უარყოფის საფუძველი.²¹ აღნიშნული წესების დაუცველობა გარანტს უკარგავს უფლებამოსილებას უარი თქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

¹⁸ ჭიკაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, 2015, 162.

¹⁹ URDG N758-ის 24-ე მუხლის „b“ ქვეპუნქტი.

²⁰ URDG N758-ის 24-ე მუხლის „e“ ქვეპუნქტი.

²¹ URDG N758-ის 24-ე მუხლის „d“ ქვეპუნქტი.

სსკ-ს 887-ე მუხლი გარანტს ავალდებულებს უარი უთხრას „ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ.“ გარანტი ვალდებულია მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ აცნობოს ბენეფიციარს, მიაწოდოს ინფორმაცია იმ საფუძვლებთან დაკავშირებით, რომლიც უარის თქმის მიზეზს წარმოადგენდა. ასევე, იგი ვალდებულია თანხის გადახდაზე უარი განაცხადოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

კანონმდებელი არაფერს ამბობს ბენეფიციარის უფლების შესახებ, რომ ხელმეორედ წარუდგინოს მოთხოვნა გარანტს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე. ასეთ შემთხვევაში ხელმეორედ წარდგენილი მოთხოვნა ითვლება განმეორებითად და რეგულირების პროცესის დაწყების საფუძველს წარმოადგენს.

სსკ-ის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ბენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე გარანტისთვის ცნობილი გახდა, რომ საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულების ნაწილი შერულებულ, შეწყვეტილი ან ბათილი იქნა სხვა საფუძვლებით, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს პრინციპალსა და ბენეფიციარს. აღნიშნული შეტყობინების შემდეგ მიღებული ბენეფიციარის ხელმეორე მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს გარანტის მიერ. ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა, გარანტის პასუხისმგებლობის შეწყვეტას ბენეფიციარის მიმართ არ იწვევს.²²

სსკ-ის 881-ე მუხლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბანკო გარანტია ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებებიდან იმით განსხვავდება, რომ იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებისგან. იგი არ არის დაფუძნებული მხარეთა შეთანხმებაზე და წარმოადგენს ცალკე ხელშეკრულებას. სბანკო გარანტიიდან წარმოშობილი ვალდებულების შეწყვეტის ძირითად საფუძველია, პრინციპალის მიერ ბენეფიციარისათვის საგარანტიო თანხის გადახდა. განმეორებითი მოთხოვნა იმ შემთხვევაში უნდა იქნეს დაკმაყოფილებული,

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო, სამოქალაქო და გავრცობის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის N781-996-08 გადაწყვეტილება.

როცა ბენეფიციარი კეთილსინდისიერია მოთხოვნის განხორციელების დროს და მისი ქმედება მართლზომიერია.

3.3. გარანტის რეგრესული წესით ანაზღაურების უფლება

სსკ-ის 890-ე მუხლის გათვალისწინებით, გარანტსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გარანტი უფლებამოსილია, გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადახდის შემდეგ, პრინციპალს მოთხოვოს რეგრესის წესით ანაზღაურება. ამგავრი მოთხოვნა ბენეფიციარის დაკმაყოფილებისთანავე ავტომატურად, კანონის ძალით (*ipso iure*) კი არ წარმოიშობა, არამედ 890 I მუხლის თანახმად, მხოლოდ გარანტის და პრინციპალის შეთანხმებით. გარანტის გაცემისას, ყურადღებაა გამახვილებული გადახდილი თანხის რეგრესის წესით ანაზღაურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის მოთხოვნილი თანხა შესაძებელია იყოს მთლიანად გარანტის ოდენობა ან მასზე ნაკლები. სსკ-ის 890-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გარანტი ვერ შეიძენს უფლებას რეგრესული წესით თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, თუ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თანხის გადახდა გარანტის პირობების საწინააღმდეგოდ განხორციელდა ან ბენეფიციარის მიმართ ვალდებულების დარღვევით განხორციელდა. აქედან გამომდინარე, თუკი გარანტი ამგვარი რეგრესული მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საჭირო თანხას პრინციპალს ანგარიშიდან ჩამოაჭრის, ამ უკანასკნელს შეუძლია უკან მოითხოვოს თანხის დაბრუნება.²³ აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი დისპოზიციურ ხასიათს ატარებს და მხარეებს ენიჭებათ უფლება, შეთანხმებით მიიღონ სხვაგვარი გადაწყვეტილება.

²³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო, სამოქალაქო და გავრცელების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის Nას-781-996-08 გადაწყვეტილება.

თავი 4. საბანკო გარანტიის ვადა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

4.1. ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნების სამართლებრივი შედეგები

საბანკო გარანტიით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების საკითხი, ხშირად წარმოადგენს სასამართლოს პრაქტიკაში დავის საგანს. კერძოდ, გარანტიის ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნა, გაზრდილი მოთხოვნის წარდგენა და უფლებამოსილი პირისათვის მოთხოვნის წარდგენა მოქმედების ვადის პერიოდში წარმოადგენდა დავის საგანს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ²⁴ განმარტა, რომ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული მოთხოვნა გარანტისათვის წარდგენილ უნდა იქნეს გარანტიის მოქმედების ვადის დასრულებამდე. სსკ-ის 887-ე მუხლის გათვალისწინებით, საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შერულებისაგან გარანტის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების წინაპირობად ითვლება, მოთხოვნის წარდგენა ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ვადის დარღვევით.

სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბენეფიციარი თანხსი ანაზღაურების მოთხოვნას ფოტით გადასცემს გარანტიის ვადის გასვლის შემდეგ, რაც გარანტს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების ვალდებულებისაგან ათავისუფლებს.²⁵

აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებაში გასათვალისწინებელია, სასამართლოს მსჯელობა სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული ვადების განსხვავებულობასთან დაკავშირებით. მოსარჩელეს

²⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო 2013 წლის 01 ნოემბერი, N-ას-1595-1498-2012, თბილისის საქალაქო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 14 დეკემბრის 2/24991-16 გადაწყვეტილება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის 2/ბ-754-201 გადაწყვეტილება.

²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 01 ნოემბრის N-ას-1595-1498-2012 გადაწყვეტილება.

მითითებული ჰქონდა, რომ მოთხოვნა გარანტიით გათვალისწინებულ ვადაში გაადასცა ფოსტის წამომადგენელს, რომელმაც ვადის გასვლის შემდეგ ჩააბარა მოპასუხეს. (გარანტს)

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებით კანონმდებელმა განსაზღვრა მისი რეგულირების სფერო, რომელიც ვრცელდება მხოლოდ სასამართლოში წარმოების წესებზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული კანონი მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობათა მიმართებაში წარმოადგენს სპეციალურ კანონს და მათი გამოყენება ანალოგიის გზით ეწინააღმდეგება კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრინციპებს. ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე ფოსტისათვის დოკუმენტების ჩაბარების გათანაბრება საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დასაცავად, სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული.

4.2. საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმების მიხედვით, იმპერატიულად არის დადგენილი საბანკო გარანტიის ვადა. სსკ-ის 884-ე მუხლის თანახმად, საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ვადის მიზანია, ბენეფიციარის მოთხოვნის განხორციელების დროში შეზღუდვა.²⁶ გარანტიით წარმოშობილი მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს იმ ვადის დასრულებამდე, რა ვადილაც არის გაცემული. შესაბამისად, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი მოთხოვნა, იწვევს დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

საბანკო გარანტიი მოქმედების ვადის არსებობის განმავლობაში ბენეფიციარს აქვს მოთხოვნის წარდგენის უფლება. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არ არის დამოკიდებული ძირითად ვალდებულებაში განსაზღვრულ ვადაზე. იგი შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ვალდებულების მოქმედების ვადის შესაბამისი, მეტი ან ნაკლები.

²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მესამე ნაწილი.

გარანტიის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია და იგი ფორმდება ახალი გარანტიის გაცემით. აღნიშნულში უნდა მიეთითოს გაგრძელებული ვადა და მისი გაცემა ხორციელდება საბანკო გარანტიის გაცემისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. სსკ-ის ნორმებში არ არის ჩამოყალიბებული სპეციალური მოთხოვნები გარანტიის ვადის გაგრძელების შესაბამისად. მისი გაგრძელება უნდა მოხდეს გარანტიისათვის დადგენილი ზოგადი წესების შესაბამისად და ახალი გარანტია უნდა აკმაყოფილებდეს აღნიშნულ წესებს. იმის გამო, რომ კანონმდებელმა არ დაადგინა რეგულაციები საბანკო გარანტიის გაგრძელების შესახებ, აღნიშნული საკითხი სასამართლო პრაქტიკის მიხედვით ხშირად წარმოადგენს დავის საგანს. სამოქალაქო კოდექსი განიხილავს ვადას, როგორც იურიდიულ ფაქტს, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ შეწყვეტის წინაპირობის სახით არის ჩამოყალიბებული. ვალდებულების მოქმედების ვადის დადგომა ამთავრებს სამართლებრივ ურთიერთობას. შესაბამისად, ვადის გასვლის შემდეგ, დაუშვებელია ახლი შეთანხმებისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭება უკვე დასრულებული ვალდებულების მოქმედების გაგრძელების მიზნით.²⁷

²⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 08 სექტემბრის N#2/9973-10 გადაწყვეტილება.

თავი 4. საბანკო გარანტიის შწყვეტის საფუძვლები

სსკ-ის 884-ე მუხლის შესაბამისად, საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან. კანონის ასეთი დათქმა შეესაბამება გარანტიის იურიდიულ ბუნებასა და მიზანს. აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნული ნორმა ატარებს დისპოზიციურ ხასიათს და შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ შთანხმდნენ განსხვავებულ პირობებზე. აღნიშნული მუხლის გათვალისწინებით, გარანტია შესაძლოა ძალაში შევიდეს უფრო გვიანი თარიღით, თუკი ამას ითვალისწინებს გარანტიის შინაარსი.

ეროვნული კანონმდებლობის აღნიშნული ნორმები თანხვედრაშია საერთაშორისო კერძო სამართის ნორმებთან, რადგან საბანკო გარანტია საერთაშორისო კერძო სამართლის პროდუქტია, ეროვნულმა კანონმდებელმა კი მოახდინა მისი რეცეპცია და არა პირიქით. „მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესების“ (სსკ-ს საბანკო გარანტია საერთაშორისო კერძო სამართლის პროდუქტია, ეროვნულმა კანონმდებელმა კი მოახდინა მისი რეცეპცია და არა პირიქით. „მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესების“ (სსკ-ს 458 პუბლიკაცია) მე-6 მუხლის თანახმად, გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის მომენტიდან, თუკი მასში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ამასთან, გარანტიაში შეიძლება მითითებულ იქნეს მისი ძალაში შესვლის უფრო გვიანდელი ვადა, გარდა ამისა, იგი შეიძლება დათქმული იქნეს თვით გარანტიის მიერ გარკვეული დოკუმენტების საფუძველზე.²⁸ სსკ-ის 883-ე მუხლის თანახმად „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება გარანტი მიმართ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. ზოგადი წესები შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს სხვა პირს გადასცეს კუთვნილი მოთხოვნის უფლება. საბანკო გარანტიის ბუნებიდან გამომდინარე, ბენეფიციარი იძენს კრედიტორის სტატუსს იმ შემთხვევაში, როცა მას წარმოეშობა მოთხოვნის უფლება გარანტის მიმართ. მაგრამ ჩვეულებრივი კრედიტორისაგან განსხვავებით, მას არ ენიჭება უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნა სხვა პირს დაუთმოს. აღსანიშნავია ისიც, რომ საბანკო გარანტია კონკრეტულ პირთა შორის ძირითადი ვალდებულების შესრულებას ემსახურება.

²⁸ Uniform Rules for Demand Guarantees, ICC. N 458, article 6.

აქედან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ გარანტიის მიმართ მოთხოვნას სხვა პირისათვის გადაცემა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ საბანკო გარანტიით ასეთი რამ შესაძლებლადაა მიჩნეული, ანუ თუკი გარანტიის მონაწილე მხარეები შეთანხმდებიან ამაზე.²⁹ საბანკო გარანტია უზრუნველყოფის საშუალებაა, რომელც ემსახურება კონკრეტული ვალდებულებას უზრუნველსაყოფად, რაც ნათლად არის ჩამოყალიბებული მ საგარანტიო ხელშეკრულების შინაარსში. აქედან გამომდინარე, უფლების სხვა პირისათვის გადაცემა ვერ იქნება მისი იურიდიული ბუნების შესაბამისი. ზემოაღნიშნული ნორმის დისკოზიციურობის მიუხედავად, მხარეებს უფლება აქვთ გარანტიის ხელშეკრულებაში მიუთითონ მოთხოვნის უფლების სხვა პირზე გადაცემის შესაძლებლობაზე.

მსგავს ნორმებს შეიცავს ასევე საერთაშორისო კერძო სამართალიც, კერძოდ, „მოთხოვნამდე გარანტიათა უნიფიცირებული წესების“ (სსკ-ს 458 პუბლიკაცია) მე-4 მუხლის შესაბამისად ბენეფიციარის მოთხოვნის უფლება არ ექვემდებარება გადაცემას, თუკი ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული გარანტიაში ან მის დამატებებში. გაეროს კონვენცია „დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ“ (მუხლი მე-9) ასევე აცხადებს, რომ ბენეფიციარის უფლებები შეიძლება გადაიცეს მხოლოდ მაშინ და იმ მოცულობით, როგორც ეს განახლებულია ვალდებულებაში (გარანტიაში).³⁰

საბანკო გარანტიის ინსტიტუტის არსებობისას ყურადღება ეთმობა მის სტაბილურობას, რაც მიშვნელოვანია ბენეფიციარის ინტერესის დაცვისათვის. იგი დაზღვეული უნდა იყოს გარანტიის ვადაზე ადრე შეწყვეტისაგან. მიუხედავად იმისა, რომ საგარანტიო ხელშეკრულება იღებს პრინციპალსა და გარანტს შორის შთანხმების საფუძველზე, არ ნიშნავს იმას, რომ გარანტს აქვს უფლება ნებისმერ დროს უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შერულებაზე. იგი ვალდებულია ბენეფიციარს გადაუხადოს პრინციპალისათვის გადასახდელი თანხა. გარანტი საკუთარი ნებით ერთვება ბენეფიციარსა და პრინციპალს შორის წარმოშობილ ურთიერთობაში და

²⁹ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., და ავტორთა კოლექტივი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები“, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2001 წ. წიგნი მეოთხე ტომი 2, 220

³⁰ ხოტენაშვილი ლ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2015.

შესაბამისად, ბოლომდე უნდა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. აღნიშნულიში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება კანონით დადგენილი ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები. საბანკო გარანტიის უკან გამოთხოვა კი შესაძლოა განხორციელდეს, გარანტსა და პრინციპალს შორის სპეციალური შეთანხმების საფუძველზე. გარანტს შეუძლია პრინციპალთან დადებულ ხელშეკრულებაში კონკრეტულად მიუთითოს იმ საფუძვლებზე, რაც მას უფლებას მისცემს პრინციპალის წინაშე დააყენოს საკითხი ნაკირს ვალდებულებაზე უარის თქმის შესახებ.³¹ სსკ-ის 882-ე მუხლის თანახმად, „საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. აღნიშნული პრინციპი მოქმედებს საერთაშორისო საბანკო გარანტიების მიმართ. „დამოუკიდებელი გარანტიებისა და სარეზერვო აკრედიტივების შესახებ“ გაეროს კონვენციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „ვალდებულება (საბანკო გარანტია ან სარეზერვო აკრედიტივი) ითვლება გამოუთხოვადად მისი გაცემის მომენტიდან, თუკი მასში მითითებული არ არის, ტომ იგი გამოთხოვადია“. სამოქალაქო კოდექსის ნორმებში არ არის დათქმა გარანტიის ბათილობის შესახებ, თუ მასში არ არის მითითებული და განსაზღვრული კონკრეტული ვადა. 889-ე მუხლის თანახმად, გარანტიის შეწყვეტის პირობად მასში

გათვალისწინებული ვადის გასვლა ითვლება.

გარანტიის მოქმედების ფარგლების განსაზღვრისათვის უნდა ვიცოდეთ თუ როდის და რა საფუძველით წყდება მისი მოქმედება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, „გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის მიმართ წყდება:

ა) ბენეფიციარისათვის იმთანხის გადახდით, რომელზედაც გაიცა გარანტია;

ბ) გარანტიაში განსაზღვრული იმ ვადის გასვლით, რომლითაც იგი გაიცა;

გ) ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე, თავის უფლებებზე უარის თქმის და მისი გარანტისათვის დაბრუნებისას.“³² საგარანტიო ვალდებულება წყდება

³¹ ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., და ავტორთა კოლექტივი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები“, თბილისი, გამომც. „სამართალი“, 2001 წ. წიგნი მეოთხე, ტომი 2, 219

³² 1997წ. 26 ივნისის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მუხლი 97

ბენეფიციარის ნების გამოვლენით, რომელიც უნდა გამოხატოს წერილობითი ფორმით და აღნიშნული არ საჭიროებს გარანტიის თანხმობას. საბანკო გარანტიის დამოუკიდებელი ბუნებიდან გამომდინარე, ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა არ იწვევს, საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტას. გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღნიშნული არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების შინაარსში.

ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართლის ნორმები, საგარანტიო ვალდებულების შეწყვეტის შტყობინების ვალდებულებას გარანტს აკირსებს პრინციპალის მიმართ.

თავი 6. საბანკო გარანტიის საერთაშორისო მოდელები

მას შემდეგ, რაც ადამიანს სხვა პირთა მიმართ წარმოეშვა მოთხოვნის უფლებები აქტიურად დაიწყო მათი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ძიება. საბანკო გარანტიის წარმოშობისას ძირითად პრიორიტეტს გარანტიის ფინანსური სტაბილურობა წარმოადგენს, რაც ბენეფიციარისათვის მოთხოვნის უზრუნველყოფის მთავარი კრიტერიუმად ითვლება. აღნიშნულთან დაკავშირებით, დათაბეგაშვილი

წერს თავის სადოქტორო ნაშრომში. დღესდღეობით სწორედ, გარანტიის ძლიერი ფინანსური შესაძლებლობები არის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორი საბანკო გარანტიის წარმოშობისათვის. თავისი შინაარსით, საბანკო გარანტია წარმოადგენს

ვალდებულებას, რომლის მიზანია ბენეფიციარს და პრინციპალს შორის არსებული ძირითადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა.³³

დღევანდელ პრაქტიკაში, საბანკო გარანტიის ხელშეკრულების გარეშე თითქმის არ არსებობს საერთაშორისო თუ ქვეყნის შიდა სამართებრივი ურთიერთობების, რომლებიც დაკავშირებულია დიდი მოცულობის ვალდებულების არსებობასთან. საერთაშორისო საგარანტიო პრაქტიკაში, მოთხოვნის უზრუნველყოფის ამ ფინანსურ ინსტრუმენტს სხვადასხვა დასახელებით მოიხსენიებენ. ამერიკული სამართლებრივი სისტემა და პრაქტიკა გარანტიას „Stand by Letters of Credit“-ის სახელით იცნობს, იცნობდა და სამეცნიერო წრეებშიც მის მნიშვნელობას შესაბამისი ადგილი ეთმობოდა. ³⁴ევროპული კონტინენტური სამართალი მას „Contract Guarantee“-ის და „Demand Guarantee“-ის სახელით მოიხსენიებს.³⁵ ხოლო ბრიტანეთში გარანტია „Performance Bond“-ის „Guaranty Bond“ და „Surety Bond“-ის სახელწოდებით არის ცნობილი.³⁶

საერთაშორისო სამართალში ინტერესის საგანს წარმოადგენს და კითხვებს ბადებს საბანკო გარანტიის საფუძველზე წარმოშობილი საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობა. სწრაფი პროგრესირებადი ურთიერთობების მქონე ქვეყნებში, როგორცაა ჰონ-კონგი, ტაივანი და სინგაპური გამოიყენება საბანკო გარანტიის თანამედროვე მოდელი, „Performance Bond“. აღნიშნულ ქვეყნებში, ასეთი მოდელის გამოყენების მნიშვნელობა და დანიშნულება კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება მოკლე დროში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის განხორციელება და კომერციული ურთიერთობის განვითარება. როგორც დათაბეგაშვილი წერს, ამ აზიურ ქვეყნებში საბანკო გარანტიას არსებობის დიდი ისტორია აქვს, მათ კარგად

³³ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 4, ტომი 2, 2001, 216

³⁴ „Standby Letters of Credit in Bankruptcy,” Douglas G. Baird, 49 University of Chicago Law Review 130, 1982.

³⁵ ICC N458 Uniform Rules for Contract Guarantees, 1978.

³⁶ Surety Bond Basics, auth.- Dan Donohue and George Thomas, Federal Publications 1996.

გამოიყენეს ბრიტანულ სამართალში არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ეს საშუალება. აღნიშნული დასტურდება იმით, რომ დღესდღეობით ჰონ-კონგი ლონდონთან ერთად მსოფლიო კომერციის მნიშვნელოვან და მთავარ ცენტრს წარმოადგენს. ისინი განეკუთვნებიან იმ ქვეყანათა, რიგს, რომელთაც გაიაზრეს საბანკო გარანტიის არსებობის მნიშვნელობა კომერციული ურთიერთობის განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, დღევანდელ პრაქტიკაში აღარ არსებობს ბიზნეს ურთიერთობები საბანკო გარანტიის, იგივე „Performance Bond:“-ის გარეშე.

„საბანკო გარანტიის შედარებითი სამართლებრივი და ისტორიული კვლევს მეთოდების გამოყენებით, აქტუალურია გარკვევა, თუ რომელი უფრო მნიშვნელოვანია-შერულების მხრივ პირობითი საბანკო გარანტია და კლიენტის ინტერესების დაცვა თუ, უპირობო საბანკო გარანტია და სტანდარტი „ჯერ გადაიხადე, შემდეგ იდავე.“³⁷

დასკვნა

აღნიშნულ ნაშრომში განხილული საკითხებისა და სამართლებრივი პრობლემების მიმოხილვის შედეგად შგვიძლია დავასკვნად, რომ საბანკო გარანტიები საერთაშორისო კომერციის პროდუქტია, რომელიც ვალდებულების უზრუნველყოფის დამოუკიდებელ საშუალებას წარმოადგენს. სწორედ, დამოუკიდებელი იურიდიული ბუნება არის, საბანკო გარანტიის უმთავრესი მახასიათებელი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში

³⁷ ათაბეგაშვილი დ., საგარანტიო ვალდებულების დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითი დამლევის მიზანშეწონილობა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2019

ჩამოყალიბებული ნორმები ზოგადი ხასიათისაა და არ იძლევა ამომწურავ რეგულაციებს, პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ სსკ-ი ითვალისწინებდეს პრაქტიკაში ხშირად გამოყენებად საბანკო გარანტიის სახეებსა და მათ მიზნობრიობას.

საბანკო გარანტიის ინსტიტუტის რეალიზაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, გარიგების დადება ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტებს შორის და საბანკო გარანტიის გაცემა გარანტის მიერ ბენეფიციარის მიმართ. სსკ-ში არ არის გათვალისწინებული გარანტიის გაგრძელებასთან დაკავშირებით რაიმე რეგულაციები, თუმცა პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა მხარეები გარანტიის მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აგრძელებენ სახელშეკრულებო ურთიერთობებს. აღნიშნულთან დაკავშირებით კი გამოიყენება გარანტიის გაცემისათვის დადგენილი წესები. ნაშრომში საუბარია, ბენეფიციარის მიერ მოთხოვნის წარდგენის ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლის დაუცველობაც გარანტის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი ხდება. საერთაშორისო კერძო სამართალი, შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს, ძირითად სამართლებრივ წყაროს საბანკო სამართლის ინსტიტუტისათვის. ქართული კანონმდებლობა კი ხშირად ემყარება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმებს, რაც პრაქტიკაში გაუგებრობას იწვევს.

ნაშრომის შინაარსიდან ირკვევა, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს გარანტიის ალტერნატიული მოთხოვნა „გადაიხადე ან გააგრძელე“ პრინციპით, ქართული კანონმდებელი კი არაფერს ამბობს ალტერნატიულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. ბუნდოვანია ის საკითხით, იწვევს თუ არა ახალი გარანტიის გაცემა მოთხოვნის რეგულირების შეწყვეტას ან რა პირობით, ვადაშინ ან როგორი ფორმით უნდა მოხდეს გაგრძელებული გარანტიის გაცემა.

გარდა ამისა, საბანკო გარანტიაში მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს გარანტიის ვადის არსებობა. სსკ-ის თანახმად, საბანკო გარანტიის ვადის გასვლა, იწვევს ბენეფიციარის უფლების ავტომატურად შეწყვეტას. საბანკო გარანტიის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ბენეფიციარს იმ შემთხვევაში აქვს თანხის

გმოთხოვის უფლება, თუ ვალდებულება არაჯეროვნად ან საერთოდ არ იქნა შესრულებული.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული გადაწყვეტილებების მიუხედავად, ქართულ კანონმდებლობაში არსებული საბანკო გარანტიის მარეგულირებელ ნორმებში არ არის ჩამოყალიბებული, არამართლზომიერი მოთხოვნის უარყოფასთან დაკავშირებული საკითხები. სსკ-ის 886-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საბანკო გარანტიის რეგულირების საკითხი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს პრაქტიკაში, ბენეფიციარის მოთხოვნის მიღების შემდეგ, გარანტის მხრიდან პრინციპალის დაუყოვნებლივ ინფორმირებით დაცული უნდა იყოს სწორედ, პრინციპალის ინტერესები. მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება. შესაბამისად, კანონმდებელს უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული გონივრული ვადა, პრინციპალის ინტერესების დაცვის მიზნით.

ნაშრომში ჩამოყალიბებულია, საერთაშორისო სამართლის თანამედროვე მოდელები და მისი სახეები. ვისაუბრე, მათი გამოყენების მნიშვნელობაზე და დანიშნულებაზე. თუ რაოდენ დიდი როლი აქვს, მათ არსებობას ეკონომიკურ ზრდასა და საერთაშორისო კომერციული ურთიერთობის განვითარებაში.

ასევე მიმაჩნია, რომ აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ნორმებში ცვლილებების შეტანა, ახალი რეგულაციები მიღება. საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმებთან მეტად დაახლოების თვალსაზრისით. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, საბანკო გარანტიის ინსტიტუტის განვითარებას, რადგან დღესდღობით არსებული ნეგატიური პრაქტიკა არ გაგრძელდეს. უკეთ უნდა გავითავისოთ, საბანკო გარანტიის არსებობის მნიშვნელობა, ქვეყნის ეკონომიკური ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ძლერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, გამომ., „მერიდიანი“ 2014.
2. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომ., „სამართალი“, თბ., 1999.
3. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომ. „იურისტების სამყარო“, 2017.
4. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, გამომ. „მერიდიანი“, 2012.
5. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
6. ჭეჭლაშვილი ზ., სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2010.
7. ლიპარტელიანი ნ., სახელმწიფო შესყიდვების ურთიერთობებში გამოყენებადი საბანკო გარანტიის სახეები, მართლმსაჯულება და კანონი, N(52), 2016.
8. ფოფხაძე გ., „საბანკო გარანტიის სამართლებრივი ბუნება“, სამაგისტრო ნაშრომი, 2016.

9. ჭანტურია ლ., (რედ). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი N1, 2017.
10. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ. (რედ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, გამომ „სამართალი“.
11. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომ. „სამართალი“ 2011.
12. ჭიკაშვილი ნ., საბანკო გარანტია საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო უნიფიცირებული წესების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის ხარისხის მინიჭებისთვის, 2015.
13. ხოტენაშვილი პ., საბანკო გარანტიათა სამართლებრივი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015.
14. ათაბეგაშვილი დ., საგარანტიო ვალდებულები დამოუკიდებლობის ხარისხი და მისი პირობითი დაძლევის მიზანშეწონილობა, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, 2019.
15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ) ლ.ჭანტურია, 2017
16. ჭანტურია ლ., კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012
17. ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ., და ავტორთა კოლექტივი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, გამ., „სამართალი“, 2001, წიგნი მეოთხე, ტომი 2.
18. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (2020 წლის 25 ივნისის მდგომარეობით)
19. საქართველოს კანონი კომერციული ბანკების შესახებ (2020 წლის 25 ივნისის მდგომარეობით)
20. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეწარმეო, სამოქალაქო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 17 მარტის N781-996-08 გადაწყვეტილება.
21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 იანვრის 2/ზ 754-201 გადაწყვეტილება.
22. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 01 ნოემბრის N-ას 159-1498-2012 წლის გადაწყვეტილება.
23. Uniform Rules for Demand Guarantees, ICC. N458.
24. Penn G., On-demand Bond-primary or Secondary Obligations, 1986.
25. Cowdell P., McGregor P., Cuid to International Trade and Finace, international Camber of Commerce, 2015.
26. Enchong N., The law applicable to demand guarantees and counter-guarantees, 2015.
27. Kelly-Louw M., Selective legal Aspects of Bank Demand Guarantees., 2008

28. URGD N758

29. URGD N452